დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრედიტორის" დამფუძნებლებს და მენეჯმენტს

ჩვენ ჩავატარეთ **შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორის"** (შემდეგში ორგანიზაცია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა ახსნა–განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც ორგანიზაციის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორთა პასუხისმგებლობები

ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ეთიკის ნორმების დაცვით დავგეგმოთ და ჩავატაროთ აუდიტი, რათა მივიღოთ დასაბუთებული რწმუნება, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი ითვალისწინებს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემას ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენასთან მიმართებაში, რათა მოახდინოს პროცედურების დაგეგმვა არსებული გარემოებების შესაბამისად და არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე მოსაზრების გამოთქმის მიზნით. აუდიტი აგრეთვე მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პრინციპებისა და დაშვებების სათანადოობის შეფასებას, ასევე ზოგადად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს აუდიტის დასკვნისთვის.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს **შპს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორის"** ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

30 ივნისი, 2016

თბილისი, საქართველო

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	**2015**	**2014**
საპროცენტო შემოსავალი	5	1,098,801	789,243
საპროცენტო ხარჯი	5	(387,316)	(316,392)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საეჭვო სესხების ანარიცხებამდე		**711,485**	**472,851**
ანარიცხები საეჭვო სესხებზე	11	(63,470)	(56,753)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**648,015**	**416,098**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6	219,768	132,113
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი მოგება		270,767	57,238
ხელფასები და ბონუსები	7	(194,471)	(133,238)
ოფისის იჯარის ხარჯი		(72,436)	(42,352)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	8	(88,094)	(68,218)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(20,667)	(13,778)
მოგება დაბეგვრამდე		**762,882**	**347,863**
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(104,898)	(52,991)
სულ სხვა სრული შემოსავალი		**657,984**	**294,872**

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	**31 დეკემბერი 2015**	**31 დეკემბერი 2014**
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	259,908	714,463
გაცემული სესხები	11	3,765,606	2,652,126
ძირითადი საშუალებები	12	477,894	18,332
არამატერიალური აქტივები	13	19,375	25,430
სხვა აქტივები		12,521	21,350
გადავადებული მოგების გადასახადი	14	36,547	9,948
სულ აქტივები		**4,571,851**	**3,441,649**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	3,292,481	2,587,612
მიმდინარე მოგების გადასახადი		63,226	12,775
სხვა ვალდებულებები		10,922	24
სულ ვალდებულებები		**3,366,629**	**2,600,411**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	250,000	250,000
გაუნაწილებელი მოგება		955,222	591,238
სულ კაპიტალი		**1,205,222**	**841,238**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**4,571,851**	**3,441,649**

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრისთვის	**250,000**	**342,366**	**592,366**
2014 წლის წმინდა მოგება	-	294,872	**294,872**
გამოცხადებული დივიდენდები	-	(46,000)	**(46,000)**
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის	**250,000**	**591,238**	**841,238**
2015 წლის წმინდა მოგება	-	657,984	**657,984**
გამოცხადებული დივიდენდები	-	(294,000)	**(294,000)**
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	**250,000**	**955,222**	**1,205,222**

შპს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედიტორი”

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2015	2014
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		**762,882**	**347,863**
კორექტირებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	12, 13	20,667	13,778
საპროცენტო შემოსავალი	5	(1,098,801)	(789,243)
საპროცენტო ხარჯი	5	387,316	316,392
საეჭვო სესხების ანარიცხების ხარჯი	11	63,470	56,753
საკურსო სხვაობით წარმოშობილი მოგება		(270,767)	(57,238)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობაზე საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე		**(135,233)**	**(111,695)**
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
გაცემული სესხების ზრდა		(389,922)	(667,933)
სხვა აქტივების (ზრდა)/შემცირება		15,373	(11,226)
სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		9,087	(129)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**(500,695)**	**(790,983)**
მიღებული პროცენტები		1,114,675	751,367
გადახდილი პროცენტები		(360,147)	(257,624)
გადახდილი მოგების გადასახადი		(79,000)	(89,322)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**174,833**	**(386,562)**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(474,174)	(3,877)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობაზე		**(474,174)**	**(3,877)**
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების მიღება		1,810,358	1,518,977
სესხების დაფარვა		(1,826,194)	(553,268)
დივიდენდების გადახდა	16	(294,000)	(46,000)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		**(309,836)**	**919,709**
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)		(609,177)	529,270
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	10	714,463	**165,012**
ფულადი სახსრების გადაფასებიდან მიღებული ეფექტი		154,622	20,181
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის	10	**259,908**	**714,463**